

უფრო ძლიერი

თარგმანი ნანა ანდრონიკაშვილი პრინცესა ფონ საქსენ-ალტენბურგისა

მოქმედი გმირები

მისის x - მსახიობი ქალი, გათხოვილი

მისის v - მსახიობი ქალი, გაუთხოვარი

ოფიციანტი

სცენა. სტოკჰოლმი, 1880 იანი წლები. ქალთა კაფე. კუთხე, სადაც დგას ორი პატარა რკინის მაგიდა წითელი გადასაფარებლით და რამდენიმე სკამი.

მისის v- უზის მაგიდას, სადაც ნახევრად დაცლილი ლუდის ბოთლი დგას.

ის კითხულობს ყოველკვირეულ ფერად ჟურნალს. ათვალისწინებს გაზეთებს, გულდასმით ეცნობა პრესას.

მისის x- შემოდის, მას ზამთრის ქურთუკი აცვია და ქუდი ახურავს. ხელში იაპონური დიზაინის კალათა უჭირავს.

მისის x- ოჰ, მილი, ჩემო ძვირფასო, როგორ ხარ?

შობის დამეს... მარტოდმარტო... აქ რატომ ზიხარ, როგორც მარტოხელა, უსახლკარო.

მისის v- ამოხედავს ჟურნალის ფურცლებიდან, თავს უქნევს და აგრძელებს კითხვას.

მისის X - ხომ იცი როგორ ვწუხვარ, ასე რომ გხედავ... მარტოს, კაფეში და თან შობის ღამეს. ეს ისევე მწყინს, როგორც ერთხელ პარიზში, რესტორანში ვნახე ქორწილი. პატარძალი კომიქსებს კითხულობდა, სიძე მეჯვარეებთან ბილიარდს თამაშობდა. მახსოვს ჩემს თავს ვუთხარი, ნეტავი ამათი ოჯახური ცხოვრება ასეთი დასაწყისის შემდეგ როგორ გაგრძელდება?! ან როგორ დამთავრდება მეთქი? სიძე ბილიარდს თამაშობდა თავის ქორწილში, პატარძალი კი, (არ აცლის სიტყვის თქმას მისის V-ს) შენ გინდოდა გეთქვა, რომ კომიქსებს კითხულობდა თავის ქორწილში.

შემოდის ოფიციანტი, ცხელი შოკოლადი მოაქვს მისის x- თან და გადის.

მისის x-(მოსვამს შოკოლადს) იცი ამელია, ახლა მე ნამდვილად მჯერა, რომ შენ უკეთესად იქნებოდი, იმას რომ არ დაშორებოდი. არ დაგავიწყდეს, რომ მე ვიყავი პირველი, ვინც გითხრა, რომ გეპატიებია მისთვის. გახსოვს? მერე დაქორწინდებოდი და ოჯახი გეყოლებოდა. გაიხსენე, რა ბედნიერი იყავი იმ შობას, როცა შენს საქმროსთან და მის ნათესავებთან ერთად იყავი სოფელში. რა სიყვარულით ლაპარაკობდი იქაურ ბედნიერ ცხოვრებაზე.

საკმაოდ დიდხანს იყავი თეატრის გარეშე. ჰო, ძვირფასო ამელია, საუკეთესო სახლი – არის თეატრის გვერდზე. ეს უკეთესია ბავშვებისთვის - მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ.

მისის v-ის სახე სიძულვილს გამოხატავს. მისის x-მოსვამს რამდენიმე ყლუპს, დადგამს ფინჯანს მაგიდაზე. გა ხსნის კალათიდან ამოღებულ, ლამაზად შეფუთულ საშობაო საჩუქრებს.

მისის x- შენ უნდა ნახო რა ვუყიდე ჩემს პატარა წიწილებს.

(იღებს კალათიდან თოჯინას) შეხედე ამას. ეს ლიზას ვუყიდე. ხედავ როგორ ატრიალებს თვალებს და აბრუნებს თავს. რა საყვარელია არა? ეს კიდევ სათამაშო იარაღია- ესქილისთვის. (იღებს იარაღს, უმიზნებს და „ესვრის“ მისის v -ს, რომელიც შეშინებული ჩანს.)

მისის x - (იციან) შეგეშინდა? შენ რა, იფიქრე რომ გესროდი? მართლა? ვერ ვიფიქრებდი, რომ შენ ჩემგან ამას სერიოზულად მიიღებდი. აი, შენ რომ გესროლა ჩემთვის, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი. ბოლოს და ბოლოს გზაზე გადაგელობე და მე ვიცი, შენ არასოდეს დაივიწყებ ამას. თუმცა მე უდანაშაულო ვიყავი შენს წინაშე. შენ დღემდე ფიქრობ, რომ ჩემი ინტრიგების წყალობით დაგატოვებინე თეატრი, მაგრამ ეს ასე არ არის. რამდენიც არ უნდა იფიქრო, რომ ჩემი ბრალია, მე უდანაშაულო ვარ. ეს არ არის სასიამოვნო სალაპარაკო თემა, თანაც შენ მაინც გჯერა რომ ეს მე ვიყავი. . . (კალათიდან იღებს დაქარგულ სახლის ფაჩუჩებს) ეს კი ჩემი ბერიკაცისთვის, მე თვითონ დავაქარგე ტიტები. ჩვენში დარჩეს და ვერ ვიტან ტიტებს, მაგრამ მას უნდა ყველაფერზე ტიტები ჰქონდეს.

მისის v- ირონიულად და ცნობისმოყვარეობით უყურებს მას სახეში.

მისის x - (ხელებს ყოფს ფაჩუჩებში) შეხედე რა პატარა ფეხი აქვს ბობის, არა? შენ უნდა ნახო რა სასაცილოდ დაბაჯბაჯებს ფაჩუჩებით სახლში . შენ არასოდეს გინახავს ის ფაჩუჩებში, არა?

მისის v- იციან.

მისის x - შემხედე, მე განახებ. (ის ხელით ამოდრავებს ფაჩუჩებს მაგიდაზე) და მისის v – კვლავ იციან.

მისის x- მაგრამ როდესაც ის ბრაზობს, აი ასე არტყამს ფეხს. „ოჰ, ეს შტერი გოგონები, ვერასოდეს ისწავლიან ყავის მოდუღებას! ბასტა! ამ იდიოტმა კარგად ვერ დაატრიალა ლამფის ნათურა! მერე კარის ქვეშ ცარიელი ადგილია, საიდანაც სიცივე ატანს და ფეხებს უციებს „ჯოჯოხეთური სიცივეა და ეს შტერები ბუხარსაც ვერ ანთებენ!“ ის უხახუნებს ერთ ფაჩუჩს მეორეს. (მისის v- ხარხარებს.)

მისის X - როდესაც ის სახლში ბრუნდება, იწყებს ნადირობას სახლის ფაჩუჩებზე, რომლებიც მერიმ მაგიდის ქვეშ შეაგდო. ალბათ არ არის სწორი საკუთარი ქმრის ასე მასხრად აგდება. ის ძალიან საყვარელი, კარგი და ძვირფასი ქმარია. შენ უნდა გყოლოდა ასეთი ქმარი, ამელია. რაზე გეცინება? რა ხდება? აჰ? და იცი რა, მე ვიცი რომ ის ჩემი ერთგულია. კი, მე ვიცი ეს. მან თვითონ მითხრა - რატომ ხითხითებ? - ააა, იმიტომ, რომ როდესაც მე გასტროლებზე ვიყავი ნორვეგიაში, ის საშინელი ფრედერიკა მოვიდა და მის შეცდენას შეეცადა?

თუ შეგიძლია წარმოიდგინო ამაზე მეტი საზიზღრობა? (პაუზა.) თვალებს დავთხრიდი სახლში რომ ვყოფილიყავი. (პაუზა.) კიდევ კარგი ბოზიმ თვითონ მითხრა და სხვებისგან არ გავიგე ჭორის სახით. (პაუზა) თანაც ფრედერიკა სულაც არ იყო ერთადერთი, ვინც მის შეცდენას შეეცადა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვენი თეატრის დასის ყველა მსახიობი ქალი, ჭკუას კარგავს ჩემ ქმარზე. ალბათ მისი სამსახურეობრივი პოზიციის გამო. ისინი ფიქრობენ, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ შემოქმედებაზე. შესაძლოა შენ თვითონაც ცდილობდი მის დასაკუთრებას? ამიტომაც დიდად არ გენდობი. მაგრამ ვიცი, რომ ის არასდროს იყო შენით მოხიბლული და შენც ყოველთვის უკმაყოფილო ჩანდი ამის გამო. ყოველ შემთხვევაში მე ასეთი შეგრძნება მქონდა. (პაუზა. ისინი ერთმანეთს გამომცდელად უყურებენ.)

მისის X - მოდი დღეს ჩვენთან შეხვდი შობას, ამელია - თუნდაც იმის დასადასტურებლად, რომ არ ხარ ჩვენზე ნაწყენი, ან ჩემზე მაინც. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით არასასიამოვნოა, მეგობრები რომ არ ვართ. შესაძლოა იმიტომ, რომ მე მართლაც გადაგელობე შენ, მაშინ გზაზე...ან... არ ვიცი... მართლა არ ვიცი, რატომ არის ყველაფერი ასე.

მისის V - ინტერესით უყურებს მისის X – ს.

მისის X - (ფიქრებში) ძალიან უცნაური იყო, როდესაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით. . . . (ფიქრებიდან გამოერკვევა) შენ თუ იცი, ჩვენ რომ პირველად შევხვდით ერთმანეთს, მე როგორ მეშინოდა შენი. ისე მეშინოდა, რომ ერთი წუთითაც კი არ გიშვებდი ჩემი თვალთახედვის არედან. მე ისე

ავაწყვე ჩემი ცხრილი, რომ შენს გვერდით ვყოფილიყავი. მე ვერ გავბედე, რომ შენი მტერი გავმხდარიყავი. ამიტომ დაგიმეგობრდი. მაგრამ როდესაც შენ ჩვენთან მოხვედი სახლში, მე დავიძაბე, იმიტომ, რომ ჩემს ქმარს არ მოსწონდი და ამან გამაღიზიანა! აი, კაბა რომ არ მოგერგება, ისეთი შეგრძნება მქონდა. მე ყველაფერი გავაკეთე რაც შემიძლო, რომ ჩემი ქმარი ზრდილობიანი ყოფილიყო შენს მიმართ, მაგრამ მაინც არაფერი გამომივიდა, სანამ შენ არ დაინიშნე. ამის მერე თქვენ კარგი მეგობრები გახდით. შენ მხოლოდ მაშინ გაბედე ჭეშმარიტი გრძნობების გამოხატვა, როდესაც დაცულად იგრძენი თავი. მერე... მოიცა გავიხსენო... მერე რა მოხდა? მე არ ვეჭვიანობდი, უცნაურია.... მახსოვს ნათლობისას- შენ რომ ნათლია იყავი, ბობს ვთხოვე შენთვის ეკოცნა. მან გაკოცა, და შენ ისე გაბრაზდი მაგრამ მაშინ არ მიმიქცევია ამისთვის ყურადღება . . . არც მერე მიფიქრია ამაზე . . . არასოდეს არ მიფიქრია ამაზე - დღემდე! (სასწრაფოდ ღგება) რატომ არაფერს ამბობ? ერთი სიტყვაც არ გითქვამს აქამდე, კრინტიც არ დაგიძრავს! მე მალაპარაკე მხოლოდ! შენ კი აქ დაბრძანებულხარ და შენი თვალებით მთელი ჩემი ფიქრები ამომქაჩე. აქამდე ისინი ჩემში იყვნენ ჩამალულ-ჩაბუდებულები. . . მცდარი ფიქრები? დამაცადე, ვიფიქრო. რატომ ჩაშალე შენი ნიშნობა? რატომ არასოდეს აღარ მოსულხარ ჩვენს სახლში იმის მერე? რატომ არ გინდა ჩვენთან მოსვლა დღეს საღამოს?

მისის V – ისე მოძრაობს, თითქოს რაღაცის სათქმელად ემზადება.

მისის X - არა! არ გჭირდება არაფრის თქმა, ახლა მე ყველაფერს მივხვდი. აი რატომ! - და რატომ. კი! კი! აი თურმე რატომ! დიახ, დიახ, ახლა ყველაფერი ერთმანეთს ემთხვევა. ეს არის და ეს. მე ვერ ვიქნები იმ მაგიდასთან სადაც შენ ხარ. (იღებს თავის ნივთებს და გადადებს მეორე მაგიდაზე.) აი, ამიტომაც უნდა ამომექარგა ტიტები მის ფაჩუჩებზე, იმიტომ რომ შენ მოგწონდა ტიტები. (ისვრის ფაჩუჩებს იატაკზე.) ამიტომაც უნდა გაგვეტარებინა ზაფხული ჩვენ ტბაზე. . . იმიტომ, რომ შენ ვერ იტანდი ზღვას. ამიტომაც ... ამიტომაც დავარქვით ჩემ ბიჭს ესქილი - რადგან ეს მამაშენის სახელი იყო. ამიტომაც უნდა ჩამეცვა შენი საყვარელი ფერები, უნდა წამეკითხა შენი საყვარელი წიგნები, მეჭამა რაც შენ მოგწონდა, დამელია შენი მოწონებული სასმელი. - შენი საყვარელი შოკოლადი მეჭამა. ამიტომაც - ოჰ, ოჰ! ღმერთო ჩემო, ეს საშინელებაა რომ დაფიქრდე, ეს საშინელებაა!

ყველაფერი, ყველაფერი გადმოვიდა შენგან ჩემში. შენი სიყვარული, შენი ვნებაც კი. შენი სული შემოვიდა ჩემში, როგორც მატლი ვაშლში, და ჭამა, და ჭამა და ჩაეფლო მანამ ბოლომდე არ გამოლრღნა. მარტო კანი და პატარა შავი ობილაა დარჩენილი.

მე მინდოდა შენგან გაქცევა, მაგრამ ვერ შევძელი. შენ იყავი იქ როგორც გველი, შენი შავი თვალები მაჯადოებდნენ და მაქვავებდნენ. როდესაც ფრთების გაშლას ვცდილობდი ისინი დაბლა მექაჩებოდნენ. . . თითქოს წყალში ვიყავი გაწოლილი შეკრული ფეხებით, და რაც უფრო ვცდილობდი მალა ავწეულიყავი, უფრო ღრმად ვიძირებოდი დაბლა, დაბლა სანამ ფსკერს არ მივალწიე, სადაც შენ მელოდებოდი, როგორც უშველებელი კიბორჩხალა, რომ დაგეჭირე შენი კლანჭებით - და აი მე აქ ვარ. ოჰ, როგორ მძულხარ! მძულხარ! მძულხარ! და შენ თითქოს არც არაფერი ისე ზიხარ, ჩუმად, მშვიდად. აუღელვებლად, ინდიფერენტულად, არ გაღელვებს ახალი მთვარეა თუ სავსე, შობაა თუ ახალი წელი, ბედნიერები არიან თუ არა სხვა ადამიანები. შენ არ შეგიძლია არც სიძულვილი არც სიყვარული. შენ უბრალოდ ზიხარ მანდ გაუნძრევლად - როგორც კატა თაგვის სოროსთან. შენ არ შეგიძლია შენი მსხვერპლის გამოთრევა, შენ ვერ დასდევ მას კუდში, მაგრამ არც უკან იხევ. ზიხარ აქ შენს კუთხეში, შენ იცი რასაც ეძახიან სხვები ამას, თაგვის ხაფანგთან ჩასაფრებას.

კითხულობ გაზეთებს, რომ გაიგო ვის დაენგრა ცხოვრება, ვინ გამოაგდეს ჩვენი თეატრის დასიდან. ზიხარ აქ, უთვალთვალე შენს მსხვერპლებს და სწონი შენს შანსებს. (პაუზა.)

საბრალო ამელია! იცი, რომ სულაც არ მეცოდები. ვიცი რომ საწყალი ხარ, საწყალი, როგორც ვინმე დაჭრილი არსება, მაგრამ უზნეო! მე ვერ ვიქნები შენზე ნაწყენი, მინდა რომ ვიყო, მაგრამ ამ ყველაფრის შემდეგ . . . არა! შენ ხარ პატარა ადამიანი!

ჩვენ შორის დარჩეს და ბობისთან შენი კავშირი სერთოდ არ მაწუხებს. ან რატომ უნდა მაწუხებდეს? შენ ან ვინმე სხვამ თუ შოკოლადი შემაყვარა, რა განსხვავებაა? (სიამოვნებით მოსვამს ერთ ყლუპ შოკოლადს.) შოკოლადი ძალიან სასარგებლოა ყველა ვარიანტში. და თუ შენგან ვისწავლე როგორ ჩამეცვა, ამას რა ჯობს! ამან უფრო მეტად გამაძლიერა და შემანარჩუნებინა ჩემი ქმარი. შენ დაკარგე -რაც მე ვიპოვე. დიახ! ამ მხრიდან თუ შევხედავთ სიტუაციას, მე ვფიქრობ შენ დაკარგე ის... რასაკვირველია შენ იმედოვნებ, რომ მე დავთმობ ისე როგორც შენ დათმე წარსულში და რასაც ახლა ძალიან ნანობ. მაგრამ მე

არ ვაპირებ ამის გაკეთებას, დარწმუნებული იყავი ამაში!. ადამიანი არ უნდა აზროვნებდეს პატარა მასშტაბით. რატომ სხვა არავინ მეცილება იმაში რაც მე მაქვს? (პაუზა.) ალბათ იმიტომ, რომ ამ დროისათვის ეს მე ვარ ვინც უფრო ძლიერი აღმოვჩნდი. შენ არასოდეს არაფერი არ მიგიღია ჩემგან, შენ უბრალოდ გაეცი ყველაფერი. ახლა ისე გრძნობ თავს, როგორც ქურდი ღამეში. როდესაც გამოგედვიძა - უკვე მე მაქვს რაც შენ დაკარგე. რატომ იყო რომ ყველაფერი რასაც შენ შეეხე სტერილური გახდა? შენ ვერ შეინარჩუნე კაცის სიყვარული მიუხედავად იმ ყველა შენი ტიტებისა და ვნებისა - მე კი შევძელი და შევინარჩუნე. შენ ვერ ისწავლე ცხოვრების ხელოვნება შენი წიგნებიდან - მაგრამ მე ვისწავლე! შენ არ გაუჩინე პატარა ესქილი თუმცა ეს მამაშენის სახელი იყო (პაუზა.)

და რატომ არის, რომ შენ ყოველთვის ჩუმად ხარ, ყველგან, ყოველთვის ჩუმად? ადრე, დიახ მე მეგონა, რომ ეს შენი სიძლიერე იყო. მაგრამ ახლა მივხვდი, შენ იმიტომ ხარ ჩუმად, რომ არაფერი გაქვს სათქმელი, იმიტომ რომ არ შეგიძლია იფიქრო რამეზე. (დგება და იღებს ფაჩუჩებს.) ახლა მე მივდივარ სახლში, მიმაქვს ტიტები ჩემთან - შენი ტიტები. შენ ვერ ისწავლე სხვებისგან. ასე რომ შენ გატყდი, როგორც ძველი ჯოხი.

მე არა.

მადლობა, ამელია, ყველა შენი კარგი გაკვეთილისთვის. მადლობა, რომ ჩემს ქმარს ასწავლე სიყვარული.

ახლა მე მივდივარ სახლში - ჩემი ქმრის მოსაფერებლად და სასიყვარულოდ. მივდივარ...

გადის.

დასასრული.